სახალხო გაზეთი

№ 138 პარასკევი, 22 ოქტომბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 128

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამკლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სარლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ების განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოხსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირეის მოედანი

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახავენ, ინახება ერთის თვით მხოლოდ დ და წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 [illegible]

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქ[illegible]

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большая Ванкская ул. N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ეძლევა კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 30 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

* * * *ხელის-მომწერთა საყურადღებოდ* * * *
* * * * * * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმოწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღია აა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნამუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა

აცხადებს, რომ 1 ღვინობისთვიდან მოესპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც წლის ბოლომდის არ ჰქონდა 8 მან. 50 კაპ. შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 1 ოქტომბრისთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

მოკვაგონებთ **წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ენკენისთვეს უნდა გადაეხადათ** წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დაიჭარონ და შეიმოიტანონ.

ვისაც ფული აქვს გამოგზავნილი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ: Тифлисъ, Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე“ ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დაიჭაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

რ. ა. პოლიტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან,
ოდესიდან და პეტერბურგიდან

დიდ ქალი

ქალიბისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოგზავნილი მაქვს საგოგმოხიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—19)

= დაიბეჭდა, იკაზმება და 1 ნოემბრიდან მზად იქნება გასასყიდად =

კ. თავართქილაძის და გრ. ჩარკვიანის მიერ

შედგენილი

კედლის კალენდარი

ფასი 40 კაპ.

ვინც 100-ბით დაიბარებს ამ თავიდან იმას დაეთმობა ადრესი: ტფილისი, კ. თავართქილაძეს.

25 კაპ. (2 162—2)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარგად ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ე. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. ფ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. ბოლოდა—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნაკოდოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (ფულ.—ნ.—469)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი საშშაბათო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიიღება ყოველთვის მეიძლება, დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

ბედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

ბურკა გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

ნალბანდიშვილი გ. გ. შინ., სამშ. და სამ. 10—12 ს.

ქაქოძე ტ. ს. შინაგანი. ოთხშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

ბენსვეტოფი ვ. მ. შინ., ოთხშ., ოთხშ. პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ოთხშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

ბაბოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

ხიბოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც ეგზაგენს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (300—ნ.—306)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. გვირაბებით ავადმყოფებს არ იღებს. ბოსტანგზის ქ. N 4. სახლი გამამშვილისა. (ფ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა ანეულებანი ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ზ. ნ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა ანეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზღვაგადო). ძიბელის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ნ.—60)

ექიმი ალ. კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. ბოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდიგანისა. (ფ)

„სახალხო გაზეთის“ კანტორა

აცხადებს, რომ 1 ღვინობისთვიდან მოესპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც წლის ბოლომდის არ ჰქონდა 8 მან. 50 კაპ. შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 1 ოქტომბრისთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

მოკვაგონებთ **წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ენკენისთვეს უნდა გადაეხადათ** წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დაიჭარონ და შეიმოიტანონ.

ვისაც ფული აქვს გამოგზავნილი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ: Тифлисъ, Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე“ ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დაიჭაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

მოითხოვეთ ახალი პაპიროსი

„ანფისა“

ფასი 15 ცალი 6 კაპ.
„ 25 „ 10 კაპ.

„მირის“ ფაბრიკისა.

მიუხედავად იაფი და ყველასათვის მისაწვდომ ფასებისა, პაპიროსი „ანფისა“ შემზადებულია ძალიან ხარისხოვან და გემოვნების თამბაქოსაგან.

მიაქციეთ უურადღება საუკეთესო ხარისხის გემოვნებას. (15—150—1)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში



ბალი ყვავილისა

გამოცემა **მიხეილ ნემსაძისა**

ფასი 10 კაპეიკი.

ადრესი: ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა.

ტელეფ. № 372.

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ბორბინის ქ., № 9. (ფ)

ექიმი ე. ი. მინასიანცი სწამლობს შინაგან, საბავშვო და კეჭის ავადმყოფობას; პროფესორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—5)

ექიმი კბილისა ნინო რაზილაძე იზმაილოვზე N 2. **გადავიდა** ვის ქუჩაზე ავადმყოფთ დილით 10 ს. —2 საათამდე. და საღამოს 5—8 საათამდე.

ელექტრონისა და რენტგენის

საამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯავ და გადადგება რენტგენის ხნიგებით. ვერა, ყორლანოვის ქ. 20 (0—ნ.—66

ექიმი ვ. ს. არჯევანიძე ქუთაისში. იღებს შინაგან და ლედანთა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. ბუმბერის ქ., სახ. ი. ი. გოგიბერიძისა. (25—9—25)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—242)

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაგინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—16)

მასწავლებელი

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—3)

ტფილისი, 22 ოქტომბერი

თავად-აზნაურობა და ხალხი. ორიოდე წლის წინად ერთ ქართულ გაზეთში გაკვრით აღნიშნული იყო, რომ საქართველოს გლეხკაცობა ქართველს მარტო ოდენ თავის თავს უწოდებს, ერის მოწინავე ფენებს კი, განსაკუთრებით თავადაზნაურობას, ჩვეულებრივ ისე იხსენიებს, როგორც არა ქართველებსაო. ენა ხალხის სულის გამომხატავია. იქნება საქართველოს გლეხკაცობა მთლად მართალი არ იყოს, როცა იგი ქართველობას თავის საკუთარ თვისებად სთვლის; იქნება იგი ეტნოლოგიურ ეშმარიტებას არღვევდეს ამით, მაგრამ ამ გვარ სიტყვათა ხმარებას მაინც დიდი, მეტად დიდი საფუძველი აქვს. დაბოლოდ—საქართველოს მოწინავე ელემენტების საყოველდღეო ცხოვრებას, მათს საყოველდღეო მოქმედებას, მათს სულის მისწრაფებას და თქვენ დაინახავთ, რომ საქართველოს გლეხკაცის სიტყვათა ხმარება ამ შემთხვევაში საკმაოდ საფუძვლიანია და თან წინასწარმეტყველურიც. რაც ხანი გადის განვლილ ქარტეხილის შემდეგ, მით უფრო ნათლად ირკვევა, რომ ქართული ეროვნული ვინაობა მეიდროდ, განუყრელის კავშირით არის გადაბმული ქართველ მშრომელ ხალხის ცხოვრებასთან, ხოლო მეტად სუსტი და მკრთალი კავშირი აქვს მას საქართველოს მოწინავე ელემენტებთან.

საქართველოს მცხოვრებთა ზედა სართულები ისტორიულ წარსულში ერის წინამძღოლები იყვნენ და დიდს გავლენას ახდენდნენ ეროვნულ კულტურის მდგომარეობაზე. ქონებრივი ძლიერება, პოლიტიკური ბატონობა და სულიერ კულტურის მესვეურება წარმოადგენდა იმ ფაქტორებს, რომელთა წყალობითაც საქართველოს მოწინავე წრეები თავისებურ ელფერს აძლევდნენ მთელის ერის ცხოვრებას. ამ ისტორიულ წარსულში საქართველოს მშრომელი ხალხი და გამგე კლასები „უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, როგორც ეკონომიურად და პოლიტიკურად მოპირდაპირე საზოგადოებრივი ელემენტები, მაგრამ ნაციონალურად ისინი ერთს მთლიანს ერთეულს წარმოადგენდნენ. ეკონომიურ და სოციალ-პოლიტიკურ ინტერესების ნიადაგზე მშრომელ ხალხს და გაბატონებულ თავადაზნაურობას მაშინ ხშირად ჰქონდათ ერთმანეთთან ბრძოლა, მაგრამ ეს იყო ბრძოლა ერთის ნაციონალურ ერთეულის შემადგენელ ნაწილებისა. ეს-და „ალვნიშნოთ აგრედვე, რომ ამ ბრძოლასთან ერთად განუწყვეტლივ სწარმოებდა პროცესი განკერძოვებულ ფეოდალურ საზოგადოებრივ ერთეულების გადაქცევისა ერთ ნაციონალურ სახელმწიფოდ.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ეს მდგომარეობა ძირიანფესვიანად შეიცვალა. პოლიტიკურ წინამძღოლის როლი თავადაზნაურობას რუსეთის მთავრობამ ჩამოართვა. შეერთების პირველ ხანებში რუსეთის მთავრობა თავის მიზნებს საქართველოს წარჩინებულ თავადაზნაურთა შუამავლობით ანხორციელებდა, მაგრამ თანდათან ეს შუამავლობითი ფუნქციებიც რუსის მოხელეებზე გადავიდა და ამ ჟამად თვით საქართველოს თავად-აზნაურობა იმაზე შორს აღარ მიდის, რომ ზოგჯერ რაიმე შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე. სწორედ შუამდგომლობათა წარდგენა და დასაბუთება მიაჩნია თავის ერთადერთ დანიშნულებად ჩვენი დროის ქართველ თავადაზნაურობას. თავისთავად ცხადია, რომ შუამდგომლობის ნაყოფიერ დაგვირგვინებისთვის აუცილებლად საჭიროა შეგუება და შეწონვა. ისტორია ქართველ თავად-აზნაურობის მიერ აღძრულ შუამდგომლობათა წარმოადგენს ამ შეგუების და შეწონვის ისტორიას. აქედან წარმოსდგება საქართველოს მოწინავე წოდების სულიერი დაახლოვება რუსეთის მთავრობის ტენდენციებთან და დაშორება მდაბიო ხალხისაგან. რადგან, თუ არ ყოველთვის, მომეტებულ ნაწილად მაინც თავად-აზნაურთა შუამდგომლობანი წოდებრივ ინტერესებს ეპოტინებიან, საქართველოს თავადაზნაურობისა და მშრომელ ხალხის შუა უფსკრული თანდათან უფრო ღრმად ითხრება. ამ გვარად, როგორც პოლიტიკური, აგრედვე სოციალური მდგომარეობა და მოქმედება საქართველოს [illegible] პისა ხელს უწყობს იმის დაშორებას საქართველოს მდაბიო ხალხისაგან. ამ ძირითად მიზეზს უნდა მიუმატოთ რუსულ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების გავლენა. რომლებშიაც იღებენ სწავლა-განათლებას თავადაზნაურობის მოზარდი თაობანი, და ჩვენ ნათლად შევიგნებთ, საიდან წარმოსდგება ის უცნაური სოციალური ფაქტი, რომ ქართველი გლეხ-კაცობა საქართველოს მოწინავე წოდების წარმომადგენლებს ქართველებად აღარა სცნობს.

პოლიტიკურ ბატონობის დაკარგვასთან ერთად, საქართველოს თავადაზნაურობამ თანდათან ზურგი შეაქცია ქართულ სულიერ კულტურასაც. ქონებრივ ბატონობისა და კეთილდღეობის შესარჩენად, თავად-აზნაურობა შუამდგომლობათა წარდგენის გზას დაადგა, ხოლო ამ მოქმედების ნაყოფიერებისთვის კი საჭირო იყო რუსულ კულტურის შეთვისება. საქართველოს სულიერ კულტურის წინანდელი მესვეურები ამოილესნენ და გაითქვიფნენ უცხო ერის კულტურაში. იმის მაგიერ, რომ უცხოეთის კულტურა შეეთვისებინათ და მიეღოთ თავის საკუთარ ნაციონალურ ფორმებში, როგორც ჰხდებოდა ეს წინად ისტორიულ საქართველოში, რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველოს მოწინავე წოდება რუსეთის სულიერ კულტურას პირდაპირ დაეწაფა.

ნაყოფი დღეს ყველას თვალ წინა გვაქვს. ქართველ ერის თავად-აზნაურობას და თავად-აზნაურულ ინტელიგენციას წარეკვეთა უნარი ქართულ კულტურის დაფასებისა. ამ წრეებს აღარ ესმით აღარც ქართული ენის სილამაზე, აღარც ქართულ ხელოვნების მშვენიერება, აღარც ქართულ მწერლობის ფასი... ყველა ეს დღეს მხოლოდ ქართველ მდაბიო ხალხის საკუთრებაა. განა ამის შემდეგ არ უნდა ვთქვათ, რომ სრულიად მართალია საქართველოს გლეხკაცობა, როცა იგი ქართველად არ იხსენიებს ჩვენებურ თავადაზნაურობას და თავადაზნაურულ ინტელიგენციას? რა ვუყოთ, რომ გენეტიკურად საქართველოს თავადაზნაურობაც ქართველთა ტომს ეკუთვნის. ეროვნება წარმოდგომთ არ გახისაზღვრება. ეროვნობის არსებითი მხარე ეროვნული კულტურაა. ამ კულტურას კი, რაც ხანი გადის, უფრო და უფრო ჰშორდებიან საქართველოს მცხოვრებთა ზედა სართულები.

მეტად საგულისხმოა ის კარიკატურული მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ამ ჟამად ერთი ნაწილი, ეროვნულ კულტურის გზას ამცდარი, თავადაზნაურულ საქართველოს ინტელიგენციისა. ჩვენ მხედველობაში გვყავს ამ ინტელიგენციის უფრო დემოკრატიული ნაწილი. იგი სამართლიანად ჰფიქრობს, რომ ქართულ კულტურის დაწინაურებას პირველი ადგილი უნდა ეჭიროს იმის სამოქმედო პროგრამაში. ეს ნაწილი ინტელიგინციისა თავის თავს ქართულ ნაციონალიზმის მებაირაღტრედ სთვლის, მიგრამ თავის აზრების საპროპაგანდოდ კი რუსულ კალამს და რუსულ სიტყვას მიჰმართავს. ქართულ ნაციონალიზმის მიუხედავად, იმას მაინც მოსახერხებლად არ მიაჩნია ქართული სიტყვა და ქართული კალამი. დენაციონალიზაცია ამაზე შორს ვეღარ წავა.

ჩვენის ღრმა რწმენით, ქართულ ნაციონალურ კულტურის მტკიცე და შეურყეველი ნიადაგი მხოლოდ და მარტო ქართველი მშრომელი ხალხია. მშრომელ ხალხისთვის ეს კულტურა საჭიროა არა რაიმე შოვინისტურ მიზნების მისაღწევად, არამედ როგორც აუცილებელი ფორმა მის სულიერ არსებობისა. ამ აზრის სიმართლე, რაც ხანი გადის, მით უფრო ნათლად ამტკიცდება. ქართველ გლეხკაცის სიტყვათა ხმარებას წინასწარმეტყველური ხასიათი აქვს. ქართველს ეროვნებას ისტორიულ საქართველოს მრავალი ელემენტი უკვე ჩამოჰშორდა. კიდევ ბევრი სხვაც ჩამოჰშორდება, მაგრამ თვით ეროვნება კი ქართველ მშრომელ ხალხთან ერთად [illegible] თად განვითარდება.

ევროპა და მისი **ახალ-შენები.** განათლებულ ევროპის ძალა უსაზღვროა. აუარებელი ახალ-შენები მან თავის საწველ ფურად გადააქცია, მძიმედ ჩაჰკიდა ხელი და ამოსწოვა, რის ამოწოვაც კი შეიძლებოდა. აფრიკა, აზიის დიდი ნაწილი, ავსტრალია და სხვა და სხვა კუნძულები დაინაწილეს ევროპის სახელმწიფოებმა და დღემდის განაგრძობენ მათს ექსპლოატაციას. ვერ ვიტყვით, რომ ევროპის უსაზღვრო ბატონობას მონები ხმა-ამოუღებლივ იტანდნენ. რაც უფრო ვითარდება ცხოვრება და ევროპის სულიერი კულტურა მთელ ქვეყანას ეფინება, მონებიც იწყებენ ფიქრს თავიანთ არსებობაზე და უკეთეს ცხოვრების მოწყობაზე. ახალ-შენების ეთვითცნობიერება იწვევს ევროპის უდიდეს სახელმწიფოთა მოქმედებისა და პოლიტიკის ცვლილებას, უკანტროლო, ანგარიშ-მიუცემელი ბატონობა უკვე შეუძლებელი ხდება და განათლებული ქვეყნები იმუშავებენ ნორძებს ახალ-შენებთან დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად. აქის საუკეთესო მაგალითს ინგლისი გვაძლევს. საზოგადოდ ინგლისის მდგომარეობა ისეთია, რომ მას ვერ შეუძლიან თავის ახალ-შენების სრულს გაერთფეროვნებაზე იზრუნოს. მისი სამფლობელო თითქოს მთელს დედა მიწის ზურგზეა გაფანტული. ასეთმა განსაკუთრებულმა მდგომარეობამ ინგლისის შინაურ პოლიტიკასაც განსაკუთრებული ხასიათი მისცა. მან თავის ახალ-შენებს ავტონომიური მართვა-გამგეობა მიანიჭა. მაკრამ ინგლისი ამითაც არ დაკმაყოფილდა. დიდის ხნის ბრძოლით მოპოვებულ ტრანსვაალს თვითონვე მიაცა თვით-მმართველობა და ძერე ჩრდილოეთ აფრიკის საფლობელოთაგან შეჭმა აფრიკის მეეთებული შტატები, ფედერატიული სახელმწიფო. ამისთანა ზოგები [illegible] ინგლისის ლიბერალიზმით ვერ აიხსნება, თუმცა, თქმა არ უნდა, [illegible] ერთოდ ლიბერალიზმი ინგლისისა [illegible] [illegible] [illegible]

ში შეუძლიან. ავტონომია განუხორციელებელი რჩება მხოლოდ ირლანდიაში და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ლორდთა პალატა სისტემატიურად აფერხებს მის განხორციელებას. ირლანდია ლორდების კერძო საკუთრებაა და კერძო მესაკუთრე კი ვერც ისე ადვილად დასთმოს თავის ქონება. მიუხედავად ამისა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე ლორდებიც იძულებულნი გახდებიან ცხოვრების ფლმობელ კანონებს ანგარიში გაუწიონ და ირლანდიასაც ავტონომია მიანიჭონ. ავტონომიასა თხოულობს—შოტლანდიაც, ეს აქამდის განუყოფელი პროვინციაა ინგლისისა.

გაზეთები გადმოგვცემენ, რომ გერმანიაშიც დაბადებულა აზრი—ელზასლოტარინგიას მიეცეს ავტონომია. მართალია კონსერვატორები ამის წინააღმდეგნი არიან, ეშინიათ, ვაი, თუ სახელმწიფოებრივ ინტერესების წინააღმდეგ იმოქმედოს ახალმა ავტონომიურმა პროვინციამაო, მაგრამ თვით ფაქტი ამნაირ აზრის დაბადებისა ძალიან სიმპატიურია.

საზოგადოდ ცხადი ხდება, რომ ძველებური წესი პროვინციათა თავაშვებულ ექსპლოატაციისა ეხლანდელ პირობებში შეუძლებელია, მრავალ-რიცხოვანი ერნი და ახალ-შენები ცხოვრების უნარს იჩენენ, აქტიურად გამოდიან ისტორიულ ცხოვრების ასპარეზზე, და გაუმაძღარი ევროპაც იძულებული გახდება სერიოზული ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას.

მიწის ფასი საქართველოში

ქართველი გლეხი ძლიერ შევიწროებულია. ის მიწა, რომელიც აქვს ჩვენს გლეხს დიდის გაჭირვებით ასაზდოებს მას. გლეხს გარდა დღიურ საზღვისი, თავს ადევს სხვა და სხვა სახის სახელმწიფო და საერო გადასახადები. ზოგგან მიწის საჭიროებას ჩვენი გლეხი ავსებს მიწის იჯარით, ზოგგან-კი სულ გადის სოფლიდან სამუშაოდ. რადგან მიწის მოთხოვნილება ძლიერ დიდია ჩვენს გლეხობაში, თან და თან იზრდება მიწის იჯარის ფასები [1]) და მასთან ერთად იზრდება საერთოდ მიწის ფასები. მიწის სივიწროვე ქუთაისის გუბერ-

ტფილისისაში; პირველში უფრო ძვირად ფასობს მიწები და უფრო საძნელო დახდება მისი შეძენა მათთვის, ვისაც მიწები ეჭირვება. მიწის სიძვირე იხსნება არა მიწის კულტურის გაუმჯობესებით, არამედ იმით, რომ ხალხის რიცხვი მატულობს და მასთან ერთად მოთხოვნილებაც.

[1]) იხ. ჩემი წერილი „მიწის იჯარა საქართველოში", სახ. გაზეთი", 1910 წ. N 62.

1889 წ. ქუთაისის გუბერნიაში დესიატინა მიწა საშუალოდ ღირდა 297 მან., თფილისის გუბერნიაში კი 84 მან., მაშასადამე ქუთაისის გუბერნიაში დესიატინა მიწის ფასი 3,7-ჯერ აღემატება თფილისის გუბერნიაში არსებულ ფასებს. ძლიერ ძვირად ფასდებოდა დესიატინა მიწა ლეჩხუმის მაზრაში—100—2000 მანეთამდე, შემდეგ რაჭის მაზრაში—80—2000 მ-დე, ყველაზედ იაფად ფასდებოდა დესიატინა მიწა წუგდიდის მაზრაში—121—150 მანეთამდე და სენაკის მაზრაში—58-113 მ—დე; ტფილისის გუბერნიაში-კი დესიატინა ფასდებოდა, ბორჩალოს მაზრაში—15—2450 მანეთამდე, ახალციხის—20—400 მ., თიონეთისა—10-15 მან. თუ ჩვენ ავიღებდით უმცირეს და უმაღლეს მიწის ფასებს ამ გუბერნიებში, ვნახავთ, რომ ქუთაისის გუბერნიაში მიწის ფასები იყო 12—2000 მან., თფილისისაში კი ასეთ დიდ განსხვავებას ვერ ვნახავთ—5—150 მ.; მოყვანილი ნიმუშები ნათლად გვეუბნებიან, რომ ქუთაისის გუბერნია დიდ გასაჭირს განიცდის და უფრო ცუდ მდგომარეობაში არის, ვიდრე თფილისისა.

ათი წლის შემდეგ მიწის ფასებმა უფრო აიწია თუ ქუთაისის გუბერნიაში ათი წლის წინად დესიატინა ღირდა საშუალოდ 297 მ. ათი წლის შემდეგ 1899 წ. დესიატინა ღირდა 352 მ., ე. ი. მოიმატა 55 მ. ანუ 1/5 მეტი. თფილისის გუბერნიაში 81 მ. მაგივრად დესიატინა მიწა ფასობდ 112 მ., ე. ი. აიწია თითქმის 1/3 საშუალო ფასების განსხვავება ისეთივე დარჩა, როგორც წინად იყო. და აი ორი გუბერნიის სხვა და სხვა მაზრის ისეთივე დიდი განსხვავება იყო, როგორც ათი წლის წინად. თუ ქუთაისის გუბერნიაში მიწების ფასების ზრდაში უმთავრეს მონაწილეობას იღებდა ხალხის რიცხვის მატება, თფილისის გუბერნიაში უფრო დიდი გავლენა მიწების ზრდაზედ იქონია საზოგადო მიწის კულტურამ, აგრე-

თფილისის გუბერნია, როგორც შესაფერისი ადგილი რუსეთის გლეხების გადმოსახლებისათვის. თუ ჩვენ სხვა წყაროებს მივმართავთ ვნახავთ შემდეგს: სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკი აფასებდა ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიაში დესიატინას სულ სხვა და სხვა ნაირად, ქუთაისის გუბერნიაში დესიატინ. 1893 წ.—338 მ. ტფ.—20 მ.

„ 1894 წ — 59 მ. „ —54 მ.
„ 1895 წ.—135 მ. „ —83 მ.
„ 1896 წ.— 41 მ. „ —47 მ.
„ 1897 წ.—151 მ. „ —47 მ.
„ 1898 წ.—184 მ. „ —37 მ.
„ 1899 წ.—100 მ. „ —25 მ.

ე. ი. დეს. საშუალოდ — 144 მ. 48 მ.

შემდეგში ამავე გუბერნიის მიწების ფასები ასეთ ხასიათს ღებულობენ:

	დესიატინა ქუთაის. გუბ.:	ტფილის.:
1900 წ.	— 43 მ.	29 მ.
1901 წ.	— 95 მ.	28 მ.
1902 წ.	—105 მ.	31 მ.
1903 წ.	— 27 მ.	25 მ.

ეს ზემო-მოყვანილ ნიმუშებს ჩაუკვირდებით ვნახავთ, რომ სახელმიწფო ბანკი თავის საგანგებო მიწის დაფასებაში ქუთაისის გუბერნიის დესიატინას უფრო ძვირად აფასებს, ვიდრე ტფილისისას (არ შეიძლიან არ აღვნიშნო, რომ 1893 წ.—დესიატინის ფასი ძლიერ საეჭვოდ მიმაჩნია, (338 მ.) ერთი წლის შემდეგ იგივე ბანკი დესიატინას აფასებს 59 მ., ასეთი დიდი განსხვავება ერთის წლის განმავლობაში საეჭვოა!) რაც უნდა იყოს, წინანდელი დასკვნა ჭეშმარიტია აქაც; როგორც წინად დავინახეთ, ქუთაისის გუბერნიაში უფრო დიდის სიჩქარით მიდის ფასების ზრდა ვიდრე ტფილისისაში, რაც ბანკის დაფასებაში გამოიხატება იმით, რომ ქუთაისის გუბერნიაში მიწის დესიატინის დაფასება უფრო განსხვავდება ერთი მეორესაგან, ვიდრე ტფილისისაში და უფრო დიდია, ვიდრე უკანასკნელში; თუ უკანასკნელ ათ წელიწადს მივმართავთ, დავინახავთ იმავე სურათს, რაც პირველი ათის წლის განმავლობაში. ამ ორის გუბერნიის მაზრაში მიწის მოძრაობა არ კარგავს იმ ელფერს, რომელიც მას ჰქონდა ოცი წლის წინად. მხოლოდ მიწების ფასების ზრდა არ შეჩერებულა. 1909 წ., ქუთაისის გუბერნიაში დესიატინის მიწის ფასი იყო 429 მ., ე. ი. 20 წლის [illegible] (1000 წ. 297 მ.) 132 მან., ე. ი. თითქმის დესიატინა მიწის ფასები გაორკეცდა. ტფილისისაში ღირდა 165 მ. (1889 წ.—81 მ.) ე. ი. ორჯერ მეტი ღირებულება მიიღო. მართალია, აქ მოყვანილი მაგალითები გვუბნებიან, რომ საშუალოდ ტფილისის გუბერნიაში უფრო გაძვირდა მიწა, მაგრამ თუ ჩვენ ქუთაისის გუბერნიის მიწების ფასებს ვნახავთ, რომ

ხევსურის თავი

ყველა ადამიანის თავს, როგორც მთელს მის სხეულს, ერთ დროს, თუ გვიან, სამარე მოელის; მაგრამ არა მგონია, დედა-მიწამ მთელ თავის მცხოვრებთა შორის, ვინც კი იმას ზურგზე ჰკიდია, რა ტომისაც უნდა იყოს ის ადამიანი, თუნდაც ველური,—ნახოს ისეთი თავის პატრონი როგორც ხევსური მიცვალებული. საფლავში არც ერთი ტომის მამაკაცი არ ჩაიყოლებს, როგორსაც ხევსური გადაკორტნილს თავს. ვინ დაჭრა, ვინ დაკეფა მისი „თავი? რამ გაკორტნა? ისევ მის თანა-მოძმის, ხევსურის ხმალმა და ხანჯალმა.

ზოგიერთა ხევსურის თავზე მე დამითვლია 50 ნაჭრევი, ზოგი მსუბუქი, მაგრამ ზოგიც ისეთი, შიგ ცერი ჩაჯდებოდა. დამჭრელი უნდა მოელოდეს დაჭრას, „დაკეტნას", თუ ექიმი არ დააყენა დაჭრილს, შეურაცხყოფა არ უზღო და ექიმიც თავის ხარჯით არ გაისტუმრა. სისხლის დასაურვებელს ადგილობრივი მოსამართლეები (მერჯულეები) გადასწყვეტენ. მერჯულეებმა უნდა წყლული დაზომონ ქერის მარცვლებით. მარცვლები დაეწყობა ამ რიგად: ერთი რომ სიგრძივ დაედვას, მეორე, უნდა დაიდოს გარდი-გარდმო; რამდენს მარცვალსაც დაიტევს ჭრილობა, დამჭრელმა იმდენი ძროხა, ნ მ. უნდა მისცეს დაჭრილს. ძროხა ძველებური ნორმაა და უთანასწორდება ხუთ მანათს. ეს იმას არ მოასწავებს, ხუთ მანათად დღეს ძროხა იყიდოთ ხევსურეთში. შეიძლება ძველად ასე იყო. ეს უეჭველია, მაგრამ „ძროხა", იგივე ხუთი მანათია. ფული არ არის მაინც და მაინც საჭირო დაჭრილის დასაკმაყოფილებლად და არც იშოვება ფული ხევსურეთში; ფულად ჩავარდება ყველაფერი: ხალიჩა, ფარდაგი, სპილენძის ქვაბები, იარაღი, თვით ოთხფეხი საქონელი და სხვ.

ზოგიერთი ავადმყოფი ხდება ჭრილობის მსხვერპლი არა იმიტომ, რომ მძიმედ იყო დაჭრილი, არამედ ბევრს შემთხვევაში დაკეტნილი ცდილობს წყლული „გაიავოს" (გაიძნელოს), ექიმს განაძრახებს მხოლოდ იმიტომ, რომ დაჭრილს „დრამა", საზღაური ბევრი გამოართვას დამჭრელსა.

შუღლი, კეტნა, აურ-ზაური ხევსურთა შორის ხდება ან ამურის ნიადაგზე, ან მამულებისა, საძოვრებისა და ბევრ შემთხვევაში სრულიად უბრალო მიზეზისა გამო.

ეს მიზეზი ხშირად ლოთობაა, რასაც ფართო ასპარეზი აქვს მოპოვებული ხევსურეთში, უზომოდ ლუდის და არყის სმას: პირველი ისე არ ათრობს როგორც არაყი, მაგრამ არევით სმა მსმელებს ნამდვილ ცოფიანებადა ჰხდის. საკვირველი კიდევ ის არის, რომ სწორედ ამ დროს ხდება ჩხუბი და მკვლელობა-კი ძლიერ იშვიათი მოვლენაა. ჩხუბის დროს ხევსური უეჭველად იარაღს ხმარობს, ვიდრე მფლობელია მისი და უიარაღოდ ხევსური წარმოუდგენელია, როგორც უწყლოდ თევზი, და მუდამ იმას ცდილობს მოპირდაპირე მსუბუქად დაჭრას, ხმალს მაჯიდან იქნევს, მძიმედ დაჭრა დიდი სირცხვილია, დამჭრელის სილაჩრეს ცხად ჰყოფს. „ტრელ (მშიშარა) ყოფილას", იტყვის ხევსური: „შაშინებულს ველარ გაუგავ, ხმალ როგორ მოუქნევავისო".

ერთმანერთის დაჭრა ყოველთვის ერთნაირად არა ხდება და წლის სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ზნეობრივს მოვლენებს ვხედავთ ხევსურის ცხოვრებაში. კეტნაობის სეზონად ჩითვლება გაზაფხული, ზაფხულის ზოგიერთა დღეები, როცა ხატობებია და ზამთარი, ამ დროს ხევსური მოცლით არის და ლოთობისათვის აქვს თავისუფალი დრო, როცა „მუშაობა ამოდგება", ე. ი. დადგება თიბისა და მკის დრო—მკათათვე, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, კეტნაობა თავის თავად ისპობა, შურსა და მტრობას სძინავს ხევსურის გულში, თავს დასტრიალებს ერთად ერთი ფიქრი: ჯერ მოიპოვე პური არსობისა, მოესწრობი, კიდევ დადგება დრო ხმლის პრიალისა და ფარის ფარებისაო!.. ასე: თავისუფალ დროს ხევსური ლოთობას ანდომებს და მის წყალობით ერთმანეთის დასახჩრებას. საბრალო ხევსური, ცარიელ ალიაგს თავის ცხოვრებისას რომ ნაყოფიერი შრომით ვერ ავსებს, თანამოძმის სისხლითა ჰრწყავს. ვინ არის დამნაშავე? ხევსური? არა. რა

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ნოვაია რეჩის" 235 ნომერში დაბეჭდილია ტფ. სასამართლო პალატის წევრის კოვანკოს წერილი, სადაც ვკითხულობთ ჩვეულებრივს, მაგრამ ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრების ფრიად დამახასიათებელს ამბავს. ბ. კოვანკო თურმე ტრამვაის ვაგონით მიდიოდა. ვაგონში, სხვათა შორის, ორი ოფიცერი ყოფილა. ერთს ოფიცერთაგან ვაგონში პაპიროსის მოწევა დაუპირებია. ბ. კოვანკოს თურმე პაპიროსის ბოლი ეჯავრება და ამიტომ სრულიად დამშვიდებულს, ზრდილობიანად და თავაზიანად, მიუმართავს ოფიცრისთვის: „აქ პაპიროსის მოწევა აკრძალულიაო", და უჩვენებია ამისი წარწერა ვაგონზე. ეს ზრდილობიანი მიმართვა კოვანკოსი საკმარისი გამხდარა, რომ იგი ოფიცრებს უშვერის სიტყვებით გაელანძღათ და შემდეგ პოლიციელის შემწეობით ჯერ საკომენდანტო სამართველოში წაეყვანათ, შემდეგ-კი პოლიციაში, სადაც პალატის წევრი კოვანკო უცვნიათ და, რა თქმა უნდა, მაშინვე გაუნთავისუფლებიათ. ოფიცრებს მეორე დღეს კოვანკოს წინაშე ბოდიში მოუხდიათ და უკანასკნელიც თურმე შუამდგომლობს ნამესტნიკის თანაშემწის წინაშე უკანონობის ჩამდენი ოფიცრები არ დასჯოს.

დამფიქრებელია ეს პატარა ამბავი, რომელიც თვალწინ ხელ-ახლად გვიშლის სრულის თავის სახით ჩვენის ცხოვრების ურიცხვს მახინჯს მოვლენას, რომლის წინაშეც აღნიშნული ამბავი სრულიად უმნიშვნელოდ უნდა ჩაითვალოს. ამაზე „ნოვაია რეჩი" შენიშნავს:

ის პირნი, რომელნიც მოწოდებულნი არიან დაიცვან კანონიერება და მოქალაქობრივი ცხოვრება, თავს ეცემიან ლანძღვა-გინებით პატივცემულ მოხუცს და პოლიციაში მიათრევენ მხოლოდ იმისთვის, რომ მან ზრდილობიანად სთხოვა, ვაგონში პაპიროსს ნუ მოსწევთო, ე. ი. სთხოვა შეესრულებინათ კანონის მოთხოვნა და უბრალო ზრდილობა.

უკეთესმართმა წარმოდგენამ თავის პატივსა და სახელზე და გადამეტებულმა თავმოყვარეობამ ნება არ მისცა ამ პირებს, კანონიერს მოთხოვნილებას დამორჩილებოდნენ, არჩიეს ძალმომრეობის გზა და შემდეგ თვითვე ჩასცვივდნენ ისეთს სულელურს მდგომარეობაში, რომ იძულებული გახდნენ უკანონო საქციელის გამო თვითვე მოეხადათ ბოდიში და ეთხოვათ პატივება.

ბ-ნმა კოვანკომ დიდსულოვნად აპატია და კიდეც სთხოვა, ვისაც ჯერ არს, არ დასაჯოს იგინი.

ბედნიერია იგი, პირველად იმიტომ, რომ პოლიციის ნაწილიდან ციხეში არ მოხვდა, და მეორედ იმიტომ, რომ უფლება აქვს საკითხი ასე დააყენოს

ბ. კოვანკომ შეიძლება თავის ნებით აპატია. სხვა მოქალაქე კი ამისთანა შემთხვევაში იძულებულია ძალა უნებურად „აპატიოს".

ტყუილად არამბობს „ნ. რეჩ"-ი:

ეს ამბავი ჩვენ უფრო სხვა მხრით გვაინტერესებს.

ასეთი ფაქტები ჩვენს ცხოვრებაში ყოველ-დღიურ მოვლენად გადაიქცნენ, რის გამოც მეტად იტანჯებიან მცხოვრებნი და ფეხ-ქვეშ ითელება ყოველივე კანონიერება და წარმოდგენა ადამიანის უფლებაზე.

არ ყოფილიყო კოვანკო პალატის წევრი და ყოფილიყო უბრალო სიკვდილის შვილი, მაშინ ხომ ის ციხეში ამოჰყოფდა თავს; რადგან მისს სიტყვების სიმართლეს არავინ დაიჯერებდა და ძალმომრეებიც მიადწევდნენ გამარჯვებას: მის პიროვნებას გაჰქელავდნენ, ციხეებში ათრევდნენ და სასამართლოს სხვა და სხვა დაწესებულებაში აწვალებდნენ.

ამაზე უნდა იფიქრონ უფლების მქონენეთ, აქან უნდა ჩაფიქროს მცხოვრებნიც.

ჩაფიქრება კაი საქონელია, მაგრამ ეგ მარტო რას გააწყობს ხეპრე ძალასთან? იმითი-ღა ვინუგეშოთ, რომ „ყოველთვის კოკა წყალს არ ეტანს", და „რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარსწყმნდნენ"...

სახელმწიფო სათათბირო

თავმჯდომარეობს **შიდლოვსკი.** მინისტრთა ლოჟაში სახალხო განათლების მინისტრი და სინოდის ობერ პროკურორია.

ეპისკოპოსი მიტროფანე წარსულს კრებაზე დაწყებულ სიტყვას ასრულებს. იგი იმოწმებს მწერლებსა და მოაზრეთ და ამტკიცებს, რომ ხალხის აღზრდას საფუძვლად სარწმუნოება უნდა ედოსო; ეკლესიასა და სკოლის კავშირს თვით ხალხი ითხოვს, კანონ-პროექტი კი სარწმუნოებრივ-ზნეობრივს აღზრდას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ სამინისწავლო საბჭოს წევრებად

ნ. ავალიანი.

ხევსურეთი

შემწეობა, მაგრამ დღეს კი, როგორც მესმის, ხევსური წიქა სიმშილითა კვდება და იძულებულია, სწავლას თავი დაანებოს, დაუბრუნდეს ხევსურეთის სალს კლდეებს, აიღოს ხელში ფარი და ხმალი, ულურჯოს არაყი და კეტნოს თავის თანამოძმენი, თავადაც, რასაკვირველია, დაიკეტნოს იმათგან ნაცვლად იმისა, რომ წიქას თავი, ტვინი დაკეტნილიყო, მოკირწყლულიყო სწავლა-ცოდნით, უნდა გახდეს საგნად, სანავარდოდ მხეცური ვნებათ ღელვისა...

—

იმ მოვლენამ რომ ხშირად დამჭრელი დაჭრილისაგან 100 მ. და მეტს იღებს, შექმნა ხევსურეთში ერთგვარი ხელობა,—კეტნაობის სპეკულაცია. ბევრს ხევსურს გაუხდია ხელობად ვისმე დაკეტნინოს ძალად, რისთვისაც განგებ შარს აუტეხს, მოთმინებიდან გამოიყვანს, დაეჭრეინება. ჭრილობა კი ისეთი „აღსრულებითი ფურცელია" რომ არა სჭირდება მის აღსრულებაში მოყვანას არც ბოქაული, არც ჩაფარი და მამასახლისი. ორი, თუ სამი, უბრალო ხევსურია საკმაო, რომ მარცვლებით წყლული დაზომონ. ხოლო მარცვლების რიცხვი თავად იტყვის რამდენი ხუთი მანათიც (ძროხა) უნდა ჩააბარონს დამჭრელმა დაჭრილს. უარი ყოვლად შეუძლებელია. კეტნაობის შემთხვევებს ხევსურები ოფიციალურ სამსჯავროს ყურად როდი აგდებენ, თავიანთ „რჯულით", ჩვეულებით ხელმძღვანელობენ, მითი კმაყოფილდებიან.

არა-ქრისტიანენიც კი არიან. „ინოროდცების“ სკოლების რაიმე შეღავათის მიცემა, ორატორის აზრით, მართლმადიდებლობას დიდ ზიანს აძლევსო. ორატორს არა სწამს, რომ კანონ-პროექტის მიღებას სკოლის სახელმწიფოებრივობა მოჰყვეს. სკოლის მთლიანობა ფიქციათ მიაჩნია.

ამ მოსაზრებით მემარჯვენენი,—მიუხედავად ამისა, რომ საყოველთაო სწავლის მოსურნენი არიან—ამ კანონ-პროექტს თანაგრძნობას ვერ გამოუცხადებენო (ტაშის ცემა მარჯვნივ).

სინოდის ობერ - პროკურორი აღნიშნავს, რომ საკამათო საკითხად გამხდარი, სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულება, დიდი საკითხია. ბევრის ორატორის სიტყვაში არ გამოსჭვივის ნიშანდობრივი, რუსული სული და აზრი, მაშინ, როდესაც რუსეთის ისტორიამ თავისებური შეხედულება უკვე შეიმუშავა ამ საგანზე.—ეს აზრი უფრო ღრმაა, ვიდრე საზღვარგარეთ, სადაც ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთის მოქიშპეთ გამხდარან, სადაც სახელმწიფოს ცხოვრების ყველა დარგებში უპირატესობა ეძლევა; ამგვარად იქ ეკლესია თავის ღირსეულ სიმაღლიდან ჩამოჰყავთ, იმ სიმაღლიდან, რასაც ეკლესიამ ისტორიულის მსკლელობით მიაღწია და დღეს კი იგი უბრალო სარწმუნოებრივ ჯგუფამდე ჩამოიყვანეს. რუსეთის ხალხის შეგნება ასეთ ურთ-ერთ დამოკიდებულებამდე არასოდეს არ მივა და ვერასოდეს ვერ შეურიგდება იმ აზრს, რომ სახელმწიფოებრივობა თავისით და თავისათვის არსებობდეს. ჩვენ ვისურვებდით, რომ სახელმწიფო და ეკლესია მშვიდად ვიცხოვრონ, ხალხის საკეთილდღეოდ. ყველაფერი უნდა განიმსჭვალოს, არა მარტოდენ სახელმწიფოებრივის იდეალებით, არამედ ეკლესიურითაც. თუმცა ეკლესიის და სახელმწიფოს დამოკიდებულება თხოულობს განსაზღვრულ რეგლამენტაციას, მაგრამ იურდიულის ნორმებით მისი გადაწყვეტა შეუძლებელია: ეკლესია და სახელმწიფო გაერთიანებული უნდა იყოს ზნეობრივის მოსაზრებითაც. აქედან გამომდინარეობს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთ-ერთშორის ნდობა და ურთ-ერისათვის დათმობა, რაიც დამამცირებელი არ იქნება არც ერთის უფლებისა, ღირსებისა და ზნეობრივ მოვალეობის აღსრულებისა.

ერთი კეკნაობის სპეკულანტი, ხევსური ბათირა, იცით რას მიამბობდა, თანაც თავისი თავი მაჩვენა, რომელზედაც ორმოც-და-ექვსი ჭრილობა დავთვალე! „ჯეილობაში ცუდ-კაც ვიყავ, სიღარიბეც ოხერი, ძალას მატანდა. ვუყურებდი ქვეყანას, თუ ვის ვინ დასჭრიდა, ცოლ-შვილიც დაჭრილის ყმად ხდებოდა, თავის სარჩო-საბადებელს იმას აძლევდა. მოდი, ჩემო თავო, შენც ეცადე, წყლულ რაიას? არაფერ. დაშჭრიან, ჩემ თავრიელია ბევრა ჭრილობას აიღებს, მორჩების, წყლულ ისევაც გამთელდების, აისივ ბათირა ვიქნები, დრამას კარგას ავიტან. ვეშარებოდი, ვინც უფრო თავ-მომწონე იყვა, ვიცოდი არ დასთმობდა, შამდგიან ჩახანი ხმლისანი თავრიელაჩი, ახლა კიდევ, ახლა კიდევ. წყლულები რჩებოდა და დრამაც მადიოდა—სამ სამ წყლჩი სახ სარჩოი ავავსე: ქობ გინდაა, ფარდაგ-ხალიჩაი, იარაღი, ფერად საქონელი. ბოლოს შამიტყვეს ძაღლობაი, გამიხერხდ ხალხი, აღარა მჭრიდეს, ზოგმ ხმალიც კი გადმამიგდეს, ან ძალად ჩაიგდეს. „გეყოფის, მკვდარ-ვირიანოო, დამიძახიან. იმას ცდილობდის ყველაი, ახლა მე ვინ დამეჭრა და სახლაურ გამეღა. ბოლიოს თავადაც შამრცხვა და თავ დავანებე თუ ძალიან არ გაიმიჭიდების აღარც ვის ვჭრი, აღარც ვეჭრეინებიო“. ხევსურებს ჰყავს იდეალად დასახული ძველის დროის გმირები, გათქმულნი ვეფკაკობით ქისტებთან ბრძოლაში. ბლოელი ხარჩლა ბაბურაული და ჭორმეშელი ბერდია. ბევრია დარჩენილი თქმულება იმათ ვეფკაკობაზე და ბევრიც ხალხური ლექსი:

ვინ შასდგ საძეფის ბორსა, (მტრის
დასხვედრად)
—იქნების ბაბურაული,
ხარჩლას უყვარდის სახედი!..

ხარჩლაკ, გიძახვენ ხევსურნი:
„დურჯამ აქნიგა (აქმნეინა) სახედი“.
—ახდა თქვენ იყოს დურჯაი,
თუ ადვილია საქნედი.

საუბედურო ეს ორი გმირი ერთად ვერ თავსდება, იმათაც უთანხმოება მოსდის ერთმანერთში, თუმც ეს იმათი ერთმანერთში შეღლი თემსა სწყინს და ცდილობს გმირები შეაზავოს, შეარიგოს. ხალხური ლექსი ასე განმარტავს ამ ამბავს:

ბოდოს ხარჩლა თქვიან,
ჭორმეს—ბერდია.
სანეს (სატობაში) შაერიდან სმაზედ,
ჩამაჭყარდნიეო ამბავი
იმ ძველსა მტერობაზედ.
ბერდამ უთხრა ხარჩლასა:
„შოდი ვიუბნოთ ჭკვაზედ,
ეგ მაშინ კაკარიგოდეთ,
რო შაგიურებით გზაზედ.
ჩემი მოკლეა ფრანკული,
მოგბრძანდებდეს თავზედ“.
—სხვას კი ვერ უბრძანებავ,
მოკლეს (დაბალი ტანისა) ხარჩლაის
ტანზედ.—
დაზვენით, ხევსურნო,
ნუ კაჭვრით მტერობაზედ.

ჩემ მიერ აქ მოყვანილი ცნობები ცოტად თუ ბევრად ნათელს ჰფენს ხევსურეთის ზნეობრივს და გონებრივს ავლა-დადებას. ეხლა თქვენ იფიქრეთ და განსაჯეთ როგორც გენებოსთ. მე დასასრულ ამას ვიტყვი მხოლოდ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მომკალნი მცირედ.

ვაჟა-ფშაველა.

ობერ-პროკურორი ეხება საკითხს: საჭირო და სავალდებულოა თუ არა, რომ ეკლესია მასწავლებლობას ეწოდეს?,—იხსენებს ისტორიას და ამბობს, რომ ეკლესია არამც თუ ჰნათლავდა, ასწავლიდა კიდეცაო. ეკლესისათვის სკოლაა საჭირო. სკოლა საჭიროა აგრეთვე ხალხისათვის, რომელსაც სხვა ღონისძიება არ მოეპოვება, რომ ახალგაზდობა საეკლესიო სულით განმსჭვალოს. სკოლა საჭიროა სახელმწიფოსათვისაც, ვინაიდან იგი ასწავლის ქრისტიანობის ჭეშმარიტ-ზნეობრივს აზრს და მოვალეობის თავგანწირულს აღსრულებას.

კანონ-პროექტის შესახებ, ობერ-პროკურორი ამბობს: ის უპირატესობანი, რასაც კანონ-პროექტი პირველ-დაწყებით სწავლის საქმეში სასულიერო წოდებას ანიჭებს, არსებითად არაფერია.

შემდეგ აცხადებს, რომ საეკლესიო სკოლის დამოუკიდებლად დატოვება ხელს არ შეუშლის ამ სკოლების საერთო სასკოლო ფარგალში მოქცევას, რის მაგალითსაც სამის წლის გამოცდილება გვიმტკიცებსო. ხოლო ხალხის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი აღზრდა, სასულიერო წოდებას რომ ჩამოვართვათ, ეს პოლიტიკურ შთაბეჭდილებასაც მოახდენს და სასულიერო წოდებაც ამას ისე შეხვდება, როგორც მძიმესა და დაუმსახურებელ შეურაცხყოფას.

და ბოლოს ორატორი აცხადებს: ამ კანონ-პროექტის განხილვის დროს, სასურველია, უმთავრესი ყურადღება საქმის პრინციპიალურ მხარეს მიექცეს და საეკლესიო სკოლებს დამოუკიდებლობა არ მოესპოს. ამისათვის, ორატორის აზრით, საჭირო და გონივრული იქნება, კანონ-პროეტის მოხსენებიდან **მეთოთხმეტე** მუხლი ამოიშალოს. სახელმწიფო—სახალხო სკოლების საკითხის გადაწყვეტის დროს, ისეთ დადგენილების მიღებას არ უნდა ვეშურებოდეთ, რომელიც ეკლესიის ავტორიტეტსა და უფლებას დაამცირებს რუსეთის სახელმწიფოს დაარსებიდანვე ის და მხოლოდ ის ედგა დარაჯად რუსეთის ხალხის სულს და სახელმწიფოს დიდებულ სამსახურს უწევდა. მომავალშიაც, მის მსალმუნებელ ფრთეთა ქვეშე აღიზრდება მართლმადიდებელი ხალხი ჭეშმარიტსა და ცხოველმყოფელ სარწმუნოების გავლენით, ურომლისოდაც არა სცოცხლობს არც კერძო ადამიანი, არც ხალხოსნობა, არც სახელმწიფო. (ტაშს უკრავენ ნაციონალისტები და მემარჯვენენი).

პოკროვსკი მეორე სცდილობს გაჰფანტოს ის ოცნებანი, ვითომც მესამე სათათბირო საყოველთაო სწავლის შემოღებაზე ზრუნავდეს: ეს მოთხოვნილება რევოლიუციამ წამოაყენა, ხოლო მესამე სათათბირო და მთავრობა,—რაკი სწავლის მოსწრაფებას წინ ვერ გადაეღობებიან,—სცდილობენ, რაც შეიძლება, ვიწრო ფარგლებში მოაქცეონ, მინიმუმამდე მიიყვანონ ეს საქმე. მესამე სათათბიროს სკოლის სიძირკვლად სარწმუნოებრივ-ზნეობრივი აღზრდა დაუდვა და ეს აღზრდა სახელმწიფო მართლმადიდებლობის სულით განმსჭვალა. მესამე სათათბიროს რუსეთის სიყვარული ისე ესმის, როგორც სიყვარული ოფიციალურის რუსეთისა, სიყვარული არსებულის წეს-წყობილებისა, რომელიც ჩვენს ხალხსა სძულს.

ვლადიმიროვი (ადგილიდან) ხალხი კი არა, ფარა, ბრბო!.

პოკროვსკი მეორე (განაგრძობს) თქვენ სკოლაში სამხედრო ვარჯიშობა შეგაქვთ და გავიწყდებათ, რომ პირველ-დაწყებით სკოლის მოსწავლეებს საკმაო ვარჯიშობა აქვთ სამუშაოში. სკოლაში მათ მხოლოდ გონებრივი გიმნასტიკა ესაჭიროებათ. თქვენ შავრაზმულ ერობასაც კი არ ენდობით, მასაც კი საზოგადოებრივ თვითმოქმედების უნარს უხშავთ, იმ ერობას, რომელიც თვითმმართველობა კი არ არის, არამედ რამდენიმე აზნაურის თვითნებობა და პარპაში. თქვენის ახალის პროექტით სკოლა არსებითად ახალს, სასიცოცხლო ორგანიზაციას, არ იძლევა. სკოლის რეფორმას თვითონ მასწავლებელი მოახდენს, ის მასწავლებელი, რომელიც თქვენგან დაქირავებული და მოძულებულია, და რომელსაც თქვენ, მთავრობასთან ერთად, მხოლოდ უშლით კულტურულ მუშაობას და თავისუფალ მეცადინეობაში ხელ-ფეხს უკრავთ, სამშობლო ენაზე თავ-სუფალ სწავლას უკრძალავთ და მებრძოლ ნაციონალიზმის სულით გსურთ გაბერვინოთ ბავშვები.

სკოლის ნამდვილს რეფორმას ხალხი მხოლოდ მაშინ მოახდენს, როდესაც დაამსხვრევს მის შეშბორკველ ჯაჭვებს და სამ ივნისის სათათბიროს უღლიდანაც განთავისუფლდება (ძლიერი ტაშის ცემა მარცხნივ).

კარაულოვი ლვოვ მეორის წინააღმდეგ ლაპარაკობს. ამბობს, რომ პეტრე დიდის სასულიერო რეგლამენტი ავტონომიას კი არ ანიჭებდა ეკლესიას, არამედ თავის ხელქვეითად და ტყვედა ხდიდა მას. კომისიას საეკლესიო სკოლის ავტონომიის ფარგლები არ გადაულახავს, პირ იქით, ეკლესია დამოუკიდებლად უნდა არსებობდეს და სახელმწიფოს ხელში რაიმე იარაღად არაოდეს არ უნდა გადიქცეს. საეკლესიო სკოლის მომხრენი გვეუბნებიან: „სახ. სკოლები ჩაკვიგდეთ ხელში და თქვენს კარმიდამოს ცეცხლი აღარ გადაბუგმესო“. მაგრამ, სად იყო ეკლესიის ავტორიტეტი, როდესაც ამ მოკლე ხანში, ურიცხვი მოსახლეობა გადასწვეს?—ამაში ეკლესია კი არაა დამნაშავე; დამნაშავეა ის ორი საუკუნეა, რომლის განმავლობაშიაც სასულიერო წოდებამ სული და შინაგანი ძლიერება ამოჰხადა ეკლესიას. სოფლის სამღვდელოების წინააღმდეგ კი არაა მიმართული ჩვენი მოცადინოება, ეს სამღვდელოება ხომ ისედაც ღატაკი, უფლება აყრილი და დამცირებულია — არა, ჩვენ ვებრძვით მართლმადიდებელ სარწმუნოების უწყებას. (ტაშის ცემა ოპოზიციაში).

ვორონკოვი ამბობს, რომ კომისიას 1874 წლის დებულების მსგავსი კანონ-პროექტი შეუმუშავებია. ეს კანონ-პროექტი დათმობის გზაზე სდგას (კომპრომისი). მას სურს შეარიგოს მთავრობისა დაწესებულებათა და საზოგადოებათა მისწრაფება. პროექტში გარკვეული არ არის, თუ ვინ უნდა ზრუნავდეს ხალხის განათლებას; იგი-ალნიშნავს სოფლის მასწავლებლის ნივთიერ დაბეჩავებას და თხოულობს, რომ ახლავე გადასწყდეს, რომ სახალხო სკოლის მასწავლებელთ დრო და დრო ჯამაგირებს უმატებდენ ხოლმე (მარცხნივ ტაშის ცემა).

კაპუსტინი ამბობს, რომ სკოლას გარკვეული მიმართულება უნდა ჰქონდეს; უნდა ასწავლიდეს სიკეთეს, განსაზღვრული პოლიტიკური მომზადებაც უნდა მისცეს, რუსული ზნე-ჩვეულებანი უნდა შეათვისოს, რუსეთის სიყვარული უნდა ჩაუნერგოს. **სკოლა უპირველესად რუსული უნდა იყოს.** (მარჯვნივ ტაშის ცემა). ორატორი ამბობს, რომ ყველა ეროვნების სამართლიანი მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ უმთავრესი კი არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ეს—**რუსული სკოლის შექმნა,** რომელიც რუსეთის კულტურას ხელს უნდა უწყობდეს. საეკლესიო სკოლასა და სასულიერო წოდების მტერი არა ვარ, პირიქით პირველ დაწყებით სწავლის საქმეში მათს ღვაწლს ვაფასებ, მაგრამ სასულიერო პირთაგან აქ დაყენებული საკითხი არ მესმის და მომხრე ვარ საქმის გაერთიანებულის წარმოებისა.

ბოლოს კაპუსტინი უთითებს იძულებით სავალდებულო სწავლის შემოღების უაზრობაზე. (ტაშის ცემა მარჯვნივ და ცენტრის ერთ ნაწილში).

იაბლონსკი რუსულ ეროვნულ სკოლის შექმნის საკითხს მხარს უჭერს და ამბობს, რომ პოლონელებსა და სიერთოდ ყველა ინოროდცებს აქ განხილული პროექტი მტრულ სკოლასა სთავაზობს, სკოლას, რომელიც სრულებით უცხოა მათთვის და, მოსალოდნელია, რომ პოლონელნი მას დიდის გულის წყრომით შეხვდნენ.

რუსულს ენაზე სწავლება—ეს ბოროტი დაცინვა და შეურაცხოფაა პოლონელ ბოვშვებისა. ასეთი სკოლა რუსეთის ქვეშევრდომ ეროვნებათ მხოლოდ ერთს უფლებას მიანიჭებს—თავის მოქალაქეობას სამარე გაუთხარონ. ასეთ პირობებში პოლონელებს ურჩევნიათ, რომ სახელმწიფო სწავლაზე უარი განაცხადონ. ამისათვის ჩვენ, პოლონელები, ამ კანონ პროექტში ღვაძლიან პროვოკაციასა ვხედავთ პოლონელ ეროვნების წინააღმდეგ. იგი ბოვშვის ნორჩს ძალას ამსხვრევს, სიყრმიდანვე განვითარების გზას უხშავს, და მოზარდ თაობაში მშვიდობიანობის მაგივრ, შურის ძიებას ნერგავს. ამ პროექტის განხორციელება იძულებულ ჰყოფს პოლონეთს, მთელი ძალღონე მოიკრიბოს და ეს სახელმწიფო სწავლის მკვდარი ტვირთი ზურგიდან მოიცილოს, სასიცოცხლო ორგანიზმი გაინთავისუფლოს, აიცილოს საწამლავი, რომელიც კანონმდებელთა ცბიერის ხელით ევლინება ქვეყანას, იმ ხელებით, რომელთაც მხოლოდ სახჩობელის მარყუშის გამონასკვნა შეუძლიანთ, იმ მარყუშისა, რომელიც, ბოროტი ბედის წყალობით, პოლონეთის ხალხს ყელში აქვს ჩაგდებული. (ტაშის ცემა მარცხნივ).

ანდრეიჩუკი თხოულობს, რომ საეკლესიო სკოლის მოღვაწენი ნივთიერად სამინისტრო და საეროგო სკოლის მოტვაწეთ გაუთანასწორონ.

ლიპიაკოვი ამბობს, რომ ეს კანონ-პროექტი გაცილებით სჯობია 1874 წლის დებულებასაო. იგი ემხრობა კომისიის აზრს და საეკლესიო სკოლის წინააღმდეგ ილაშქრებს. (მარცხნივ ტაშის ცემა).

მომხსენებელი კოვალევსკი უპასუხებს იაბლონსკის და აღნიშნავს, რომ კომისიას აზრათა ჰქონდა საერთო-სახელმწიფოებრივი სკოლის ტიპის შექმნა და არა პოლონული სკოლისაო; ამავე დროს პროექტში საკმაო ადგილი ეთმობა ადგილობრივს ენებსაო.

საღამოს კრება.

თავმჯდომარეობს შიდლოვსკი. იუსტიციის მინისტრი ვერევკინი განმარტავს იორასლავის სატუსაღოში დარაჯის მიერ ბოვშის დაჭრას. მინისტრი ამართლებს ციხის დარაჯის საქციელს, რომელმაც ციხის ფანჯარაში პატარა ქალი მოჰკლა. (მარჯვნივ ტაშის ცემა).

ლიახნიცკი. უპასუხებს მინისტრს და საბუთებით უმტკიცებს, რომ დარაჯს არავითარი უფლება არა ჰქონდა ბავშვის მოკვლისაო.

ბულატი. მინისტრის მიერ მოყვანილ საბუთებს საპატიო მიზეზად ვერა ხედავს და გაახსენებს მეორე სახელმწიფოს მოთავის ბარიანის სიტყვებს: „მე სუფთა ხელებით მოვედიო“. ორატორი ამბობს, რომ ამის თქმა იუსტიციის სამინისტროს საპოლიციო დეპარტამენტთან დაახლოებული პირნი ვერ იტყვიან, რადგანაც ხელები სისხლით აქვთ მოსვრილიო.

თავმჯდომარე ბულატს აჩერებს. ბულატი ტრიბუნიდან ჩამოდის. მარჯვნივ ხმაურობა და ყვირილი: „ძირს ბულატი! გააძევეთ ბულატი!“. კენჭის ყრით სხვა საკითხზე გადადიან.

შემდეგი კრება 23 ოქტომბერს მოხდება.

დეპეშები

სატელეგრ. დეპეშათა სააგენტოსგან

21 ოქტომბერი.

საზღვარ-გარედ

პარიზი. როგორც მადრიდიდან ჰავასის სააგენტოს ატყობინებენ, ესპანიაში სრული სიწყნარეა.

თავრიზი ხმები გავრცელდა, რომ თავრიზიდან ორი კვირის შემდეგ რუსეთის ჯარი წავალ. ამ ხმებმა ადგილობრივი მკვიდრნი დააღონა.

კარდიფი. სამხრეთ უელსის შავიქვის მაღაროს მუშებში მოძრაობა დაიწყო. შიშობენ, 200,000 მუშა გაიფიცებაო. ტელეფონისა და ტელეგრაფის მავთულები დასწყვიტეს. წესიერება პოლიციამ აღადგინა.

პარიზი. ბრიანმა მინისტრთა საბჭოში განაცხადა, რომ უკანასკნელ პოლიტიკურ ინციდენტებისა გამო, სამსახურიდან გავდივარო. ამ განცხადებამ მთელი კაბინეტის გადადგომა მოჰყვა. ბარტუმ თანაგრძნობა გამოუცხადა მინისტრს. ამის შემდეგ ბრიანმა ფალიერს გადადგომის ქაღალდი მისცა.

პრეზიდენტმა ბრიანსა სთხოვა ახალ სამინისტროს შედგენა. როგორც ამბობენ, ბრიანი ძველებიდან დასტოვებს შინაგან საქმეთა მინისტრს—პიშონს, სამხედროს—ბრენს და საზღვაოს—ბუე-დე-პეისერს. სხვათა ადგილას ახლებს მიიწვევს.

ბერლინი. იმპერატორმა სადარბაზოდ მიიღო იმპერიის კანცლერი.

ლისაბონი. იუსტიციის მინისტრი დაესწრო ნესე-ი-დადეს სასახლის ქონების აღწერას. ცეცხლ-მიუკარებელი სკივრი გასტეხეს და შიგ შენახული დოკუმენტები წაიღეს. მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფი პეშერი და ძველ სამინისტროს ორი წევრი დაატუსაღეს.

სოფია. კრებაზე სეფე-სიტყვის საპასუხო ადრესს არჩევენ. ადრესი, სხვათა შორის, ეხება ფერდინანდის მიერ უცხო სახელმწიფოთა დათვალიერებას და აღნიშნავს, რუსეთმა იგი დიდებულად მიიღოო.

ბერლინი. ცენტრის ორგანო „გერმანია“ კმაყოფილია, რომ მონარქების შეხვედრა პოტსდამში ჰხდებადა არა ფრიდბერგში. ამ შეხვედრას ორგანო პოლიტიკურ მნიშვნელობას არ აძლევს.

სტამბოლი. მოვიდა გელფერიხი, დეიტშეს ბანკის დირექტორი და ფინანსთა მინისტრად დაინიშნა. მოვიდა ამერიკის საგანგებო საელჩოც მინისტრ ვალსონის უფროსობით.

დრუზების წინააღმდეგ გაგზავნილ ჯარს გზა მოუჭრეს

მაჰმუდ შეფკეტის უთანხმოება ფინანსთა მინისტრთან არ გათავებულა.

სულთანის დაბრუნებისას მოსალოდნელია კაბინეტის კრიზისი.

პარიზი. ბრიანის სამინისტრომ პრეზიდენტს თხოვნა მისცა [illegible] ბობიდან გადადგომისა.

რუსეთი

ბეტერბურგი. სახელმწიფო საათათბიროს დეპუტატმა გოლოლობოვმა, სისხლის სამართლის დებულ. 1635 მუხლის ძალით, პასუხის გებაში მისცა „ბერეზოვა ვედომოსტისა“, „უტროსი“ და „იუჟნი კრაის“ რედაქტორები, რომელთაც გაზეთებში მოათავსეს, ვითომც გოლოლობოვი პასუხის გებაში მიეცათ მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ კარავაევის მკვლელობაში მონაწილეობისათვის.

ცარიცინი. 19 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, ცარიცინიდან 12 ვერსის მანძილზე, დაეჯახნენ გემები: „გრაფი“ და „იაროსლავი“. ორივე გემი დაზიანდა. „იაროსლავზე“ მოკვდა ერთი მგზავრი, დასახიჩრდა—8, ორი მგზავრი ქალი სულ დაიკარგა: ალბად დაიღრჩვნენ.

რიგა. ღამით დიდი გრიგალი ამოვარდა. ზარალი დიდია.

ეკატერინბურგში. ნახშირის საწყობები იწვის. ზარალი ჯერ 50.000 მანეთისაა.

ახალი ამბები

ტფილისი

✦ **ტფ. ქართულ გიმნაზიაში.** როგორც მკითხველებმა იციან, ხეები ქართულ გიმნაზიის მეშვიდე კლასის გახსნის შესახებ არ გამართლდა და სკოლის გარედ დარჩენილ მოსწავლეებს წინადადება მიეცათ, მომავალ მაისში ეგზამენები დაიჭირონ გიმნაზიის მეორე კლასში შესასვლელად. სკოლის გარედ დარჩენილ მოსწავლეთა მშობლებს, რომელნიც ამ ჟამად ტფილისში სცხოვრობენ, ამ დღეებში კრება ჰქონიათ ამ საგნის შესახებ და შესაძლებლად ვერ უცვნიათ, რომ თავიანთ შვილებს ცალკე მასწავლებელნი დაუჭირონ მოსამზადებლად: პირველად, იმიტომ, რომ ნივთიერი ხელმოკლეობა ამის ნებას არ აძლევს და, მეორედ, იმიტომ, რომ ძალიან საეჭვოა, მოსწავლეებმა სისტემატიურად იმეცადინონ. ამიტომ გადაუწყვეტიათ, მოუწოდონ სოფლებში მცხოვრებ მშობლებსაც და საერთო შუამდგომლობა აღძრან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, რომ მეშვიდე კლასი კვლავ გახსნას, რათა დაუმსახურებლად არ დაისაჯონ როგორც მშობელნი, ისე მოსწავლენი, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ გიმნაზიაში მომხდარ სამწუხარო ამბავთან.

✦ **ახალი სამკითხველო.** ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ქარიველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობას გორის მაზრის სოფელს ძევერაში უფასო სამკითხველო გახსნას ა. ჯავახიშვილის პასუხის მგებლობით.

✦ **საპედაგოგიო კურსები.** ტფ. საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა ჯგუფს განუზრახავს ტფილისში მოაწყოს საკვირაო პედაგოგიური კურსები პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა და იმ პირთათვის, რომელთაც ეს საკითხი აინტერესებთ.

✦ **ახალი საშუალო სასწავლებელი.** მომავალ წლის იანვრიდან ტფილისში გაიხსნება კერძო საშუალო სასწავლებელი მაჰმადიანთათვის. მასწავლებელთა უმრავლესობა სტამბოლიდან არის მოწვეული.

✦ **მოსწავლეთა ექსკურსია.** გუშინ, 21 ოქტომბერს ტფ. სამაღოსნო სასწავლებლის მეორე და მესამე კლასების მოსწავლენი, მასწავლებლის მ. ქარცივაძის ხელმძღვანელობით, გორში გაემგზავრნენ, საიდანაც დაბრუნდებიან სოფელს სკრამი და ძმათა ფრიდონოვების მამულს დათვალიერებენ.

✦ **ტფ ქალაქის სამხედრო საკრებულოში.** დღესასწაულისა გამო

გუშინ ქალაქის გამგეობაში მუშაობა არ ყოფილა. მუშაობდა მხოლოდ ერთი განყოფილება—სამხედრო საკრებულია, რომელიც განაგრძობდა ჯარში გაწვეულ ახალგაზდათა შემოწმებასა და მიღებას. გუშინ, ნაშუადღევის ორ საათამდე, სამხედრო სამსახურში მიღებულ იქმნა 35 კაცი.

✦ **ზელიმხანის დევნა.** მთავრობამ დიდი ზომები მიიღო ცნობილის ზელიმხანის დასაჭერად, მაგრამ ყაჩაღის კვალს დღემდე ვერსად მიაგნო. ახლა კავკავში შემდგარა ერთი როტა მზვერავებისა, რომელსაც მინდობილი აქვს ზელიმხანის დაჭერა. როტის უფროსად დაუნიშნავთ დაღესტნის ცხენოსანთა პოლკის კამინდერი შარლანია.

✦ **გამოფენა.** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ბათომის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, გაჰართოს ტფილისში 21-დან 29 ნოემბრამდე ბათომის რაიონის სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა გამოფენა.

✦ **ფრენა.** ავიატორი უტოჩკინი ამ ჟამად ბაქოშია. იქიდან გაემგზავრება განჯას, სადაც 27 და 28 ოქტომბერს გაფრინდება და შემდეგ ტფილისში ჩამოვა. უტოჩკინს განუზრახავს, ტფილისში მსურველთ ფრენა შეასწავლოს ღა ტფილისშივე გაჰყიდოს თავის საფრენი მანქანა.

✦ **ხოლერა ამიერ-კავკასიაში.** ტფილისის გუბერნიაში. 5 დან 8 ოქტომბრამდე, ხოლერით ავად გახდა 8, გარდაიცვალა-3 ქუთაისის გუბერნიაში: 16-დან 24 სექტემბრიმდე ავად არავინ გამხდარა. განჯის გუბერნიაში: 18 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე ავად გახდა-28, გარდაიცვალა-21. დაღესტნის ოლქში: 8-დან 9 ოქტომბრამდე ავად გახდა-1. ბაქოს გუბერნიაში: 10-დან 13 ოქტომბრამდე ავად გახდა-6, გარდაიცვალა-1. ბაქოს საგრადანაჩალნიკოში: 14 ოქტომბერს ავად გახდა-1. თერგის ოლქში: 42 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე ავად გახდა-134, გარდაიცვალა-83.

✦ **ქვაშვეთის ეკლესია.** ამ დღეებში სრულიად დამთავრდება ქვაშვეთის ეკლესიის ახალი შენობა, რომლის კურთხევაც მოჰხდება 31 ოქტომბერს.

✦ **საბავშვო კითხვების სინემატოგრაფში.** 24 ოქტომბრიდან ყოველ კვირას „მოდერნის“ სინემატოგრაფში (მიხეილის ქუჩა, ყოფილი სინემატოგრაფი რიჩისა) სახალხო კითხვების კომისია გამართავს ბავშვებისათვის კითხვებს ბუნდოვან და სინემატოგრაფიულ სურათებით. სინემატოგრაფის ადმინისტრაცია თანაუგრძნობს ამ კეთილ საქმეს და უფასოდ დაუთმო პირველი სენსი, 12—1 საათამდის ღარიბ ბავშვებს. კვირას, 24 ოქტომბერს, გაიმართება შემდეგი კითხვები—„ძველი ქალაქი რომი“ (ბუნდოვანი სურათებით); 2) ველურ ხალხთა ცხოვრება; წაიკითხავს ილია ნაკაშიძე ქართულად. 3) ზღვაოსნობა და 4) შლშის ქარხანა. სამი უკანასკნელი სურათი სინემატოგრაფიულია. განზრახვა აქვთ კითხვები ადგილობრივ ენებზედაც მოაწყონ.

✦ **კორის მაზრის სამხედრო საკრებულოს უფროს ბიდბოდკოვნიკი უშაკოვი ტფ.** მაზრის სამხედრო საკრებულოს უფროსის თანამშეწედ დაინიშნა.

პროექტი

ამიერ-კავკასიის გლეხთა დროებით ვალდებულობის მოხსნისა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაწყებული საუწყებათაშორისო თათბირი, მინისტრის ამხანაგის ლიკოშინის თავმჯდომარეობით, შეუდგა კავკასიის ნამესტნიკის მიერ წარდგენილ პროექტის განხილვას ამიერ-კავკასიის გლეხთა დროებით—ვალდებულობის გაუქმების შესახებ. ეს პროექტი შემდეგთ უმთავრეს დებულებათ შეიცავს:

1) ამიერ-კავკასიის გლეხები და უცხო მცხოვრებნი, რომელნიც ჯერ კიდევ რასმე იხდიან მემამულეთა და მიწის მფლობელთა სასარგებლოდ, გადადიან მესაკუთრეთა რიგში, მათის „სანადელო“ მიწების სავალდებულო გამოსყიდვით, რასაც მათვ რობა დაეხმარება.

2) ეს ზომა შეეხება: ა) ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მემამულეთა ადგილებზე დასახლებულს დროებით ვალდებულ გლეხებს; ბ) მუსულმანთა უმაღლეს წოდებისა და სომეხ მელიქთა ადგილებზე დასახლებულს სახელმწიფო გლეხებს, აგრედვე იმ პირებს, რომელთაც უფლება არა აქვთ დასახლებულ მამულების მფლობელობისა ბაქოს, ერევნისა, განჯიხა და ნაწილად ტფილისის გუბერნიებში; გ) იმ მცხოვრებთ რომელნიც დასახლებულ არიან სომეხ-გრიგორიანთა და მართლმადიდებელ, ანუ ბერძენ—აღმოსავლეთის საეკლესიო ადგილებში.

3) გამოსასყიდია „უსტავნაია გრამატა“-სა და მის დამატებებში ნაჩვენებ სამზღვართა შორის აღნიშნული მიწები; ხოლო უკეთუ ასეთი საზღვრები ნაჩვენები არაა, გამოსასყიდ მიწების საზღვრები გამორკვეულ იქმნება ნამდვილ „სანადელო“ მფლობელობის მიხედვიდ.

4) „ნადელის“ გამოსასყიდი ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, ბეგარის ფულით იხდიან, მიწის მოსავლით, საქონლით, თუ შინაურულად ნაკეთებ ნივთებით.

5) **საგანგებო** აღწერილობაში ნაჩვენები გამოსასყიდი ფასები გადაწყდება დაკლებულის შეფასებით, იმ ღირებულების (მიწის მოსავლისა) მიხედვით, რომელიც არსებობდა ამიერ კავკასიის საგლეხო დებულებათა გამოცემის დროს, ე. ი. მე-60 წლების ნორმებით.

6) თანამედროვე მთელი შემოსავალი მიწისა განსაზღვრულია წმინდა შემოსავლის კვალობაზე, რომელსაც არკვევენ გადასახადთა ინსპექტორები სახელმწიფო საადგილმამულო ხარკის დასაწესებლად.

7) მამულები, რომელზედაც გადასახადი კანონით დაწესებული არ არის, გლეხთა და მცხოვრებთა საკუთრებად გადადის და მიწის პატრონს არავითარი სასყიდელი არ მიეცემა.

8) საძოვარი ადგილები გლეხთა და სოფელთა მფლობელობაში რჩება წინანდელის წესით.

9) გამოსასყიდ სესხის გასტუმრება ინიშნება გლეხთა ან სოფლელთა არჩევით ერთ-ერთ შემდეგ ვადებში: ა) 28 წელი, ბ) 41 წ. და გ) 56 წ.

10) გამოსყიდვის ოქმებს მომრიგებელი შუამდგომელი აღგენს და გარდასახადთა ინსპექტორი ამოწმებს.

11) **გამოსასყიდი ფული** ეძლევა მემამულეთა და პატრონთ 5% ქაღალდებით.

12) ეჩმიაძინია მონასტრის მიწებზე დასახლებული მცხოვრებნი ადგილის მხრივ მოეწყობიან 1870 წლის 14 მაისის დებულების თანახმად.

ბოდვრული ამბები

ფოთი. ერთ ბუმს წინა წერილში მქონდა ადნიშნული მშრომელთა წრეების არჩევნების ანგარიში, სადაც დავასახელე კიდეც რამდენიმე პირი. პოგიერთმა ინტრიგანმა, რაგორც მანამდინაც მქონდა ადნიშნული, აქაც ისარგებლა თავი, რის მიზეზითაც ამ საქმეს ბამოშორდნენ მეტად სასურველი და კამოსადეგი ელემენტები. ამ რამ დენიმე დღის წინად კაზეთ „ზაკავკაზიეს“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო „ფელეტონი“ ფოთიდან ბ-ნ მ. სმირნოვის ხელ-მოწერით. ბ. სმირნოვი თავის ბესტოდეში მოჰყოფდა, თუ უკეტრესად არ ვიქნები მკითხველებთან ამ სიტყვის ხმარებისათვის, ანდა-უბდს და ვითომ მიწასთან გაუსწორებია ფოთელ მშობლების მოქმედება. ოთქოს ისინი არაფერს აკეთებდნენ ფეხებზე ეკიდოთ თავიანთ შვილების ბედ იღბალი. ბ. სმირნოვი გამოსულა და მშობლების მოგალანძღვაზე ჭაღაგენს. მაგრამ ძალდის თავი სულ სხვაგან არის დამარხული. მოკლედ რომ გსთქვათ, ბ. სმირნოვს აი რა ალაპარაკებს: რაცა მშობელთა წრის დელეგატები წარმომადგენლების ირჩევდნენ ბედაგოგიურ საბჭოში, მან მოიწადინა, რომ ერთ კალსიდან თვითონ უოფილიყო არჩეული; ხელმძღვანელობდა იმით, რომ სიჭირაა ისეთი კაცი, რომელიც დაჯილდოვებულია უმაღლეს სასწავლებელის დიპლომით, და ასეთი კი თვითონ (ბეითალია) იყო მხოლოდ. მიუხედავად ამისა დელეგატებმა ბ. სმირნოვის „სამწუხაროდ“, უფრო დარსეული კაცი აირჩიეს, რითაც გაბრაზებულმა ბ. სმირნოვმა ერთი ანდაქოთი ასტეხა. მხოლოდ ეს არის მიზეზი იმ დახარჯულ შრომისა, რომელიც მას მოუნდომებია „ზაკავკაზიის“ ფურცლებზე მოთავსებულ წერილისათვის. შეიძლება ბ. სმირნოვს კრებაზე ინტრიგანობის დროს არ ქონდა „თავი ხელად“ მაგრამ, რაცა საგაზეთო წერილს ამზადებდა, ნუ თუ მაშინ არ სწითლდებოდა?..

ადბად ამაში გამოიხატება მისი „უმაღლესი“ სწავლა-განათლება. ასეთი ვაჟბატონები თავიანთი ინტრიგანობით საზოგადო საქმეს ხელს უშლიან, მასთან კამოდიან და კიდეც უსირცხვილოდ გაზეთის ფურცლებიდან იდანძღებიან. რაგორც ახლა არ ჩვენებიდან კამოიკვეთ, ვაჟთა კამნასიის მშრომელთა წრის სიტყის თავმჯდომარედ, ნაცვლად ქ-ნ ფრანგოფუდოსი, არჩეული იქმნა ბ-ნი ი. მეუნარგია და ქალთა კომნასიაში კი ნაცვლად ქ-ნ მეუნარგიასი, რომელმაც აკრედვე უარი განაცხადა,—ბ-ნი ზანგოკოვსკი.

—

რამდენიმე დღის წინად აქ გვესტუმრა ქუთაისის „მოქალაქეთა“ შინდობიდობით ქუთაურურ სმოსანთა „მოწინავე ედუშენტებისაგან“ შემდგარი დეპუტაცია. დეპუტაცია ეწვია ქალაქის მოურავს ბ-ნ ნიკოლაძეს და სთხოვა, რომ ის კალასუდეთ ამაგე თანამდებობაზე ქუთაისში. ქუთათურები ძალზე შეუწუხებია „უთობს“ და სხვა გზა ვერ უმოგნიათ თუ არ შეკავშრება ფოთელებთან. ბ-ნ ნიკოლაძემ უარყო მათი წინადადება,—მან ქუთაისის დელინაცვლობას ამჯობინა ისევ თავის ბირმშოს დედობა.

ადბად ქუთაისს შეშურდა ფოთის სიკეთე!..

—

რაგორც იქმნა ფოთიდან განიდევნა ხოლერა. რამდენად ეს კარგია ბეტონგრებლებისთვის სასიმოგრეა, ამდენად სამწუხარო შეიქმნა ჩვენის ექიმ-სანიტარებისათვის. ისინი ამ კარეშოებამ ძალზე დაადონა, მაგრამ უსმინა დმერთმა მათ დოცვა-ვედრებას და კვლავ მოუშვინა ქალაქს სხვა-და-სხვა სენი, რაგორიც არის: კისერა, სასადი და სხვა. რაგორც ქალაქის კამგეობის ცნობიდან სჩანს 5 სექტემბრიდან კისერას უკვე უმსხვერშდია 8 კაცი. ადბად ისეთებიც იქმნებიან, რომლის ცნობაც კამგეობას არა აქვს.

საჭირო ენერგიული ზომები...

—

წერა-კითხვის კამარცლებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების კამგეობა უკვე შეუდგა სიტყვით დანაბარების საქმით შესრულებას. 10 ოქტომბრიდან დაიწყეს საზოგადოების უფასო სკოლაში მსურველების ბაწერა. სწავლება იქმნება: რუსულ ენისა, ქართულ ენისა, ანგარიშისა. საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიისა. სასიამოვნოდ უნდა ბაითვალოს კამგეობის ეს ბრძოლი ნაბიჯი.

აგრედვე კამგეობის მოწვევით ამ დღეებში აქ დექტორს წაიკითხავს ქართულად ჭიკეენაზე ექიმი ვასიდ წერეთელი.

ჭრაჭინა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ოთხშაბათს, 20 ოქტომბერს, ქართულს თეატრში გაიმართა ქ-ნ აგრენევ-სლავიანსკაიას კონცერტი. ამ კონცერტმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ქ-ნ სლავიანსკაიას ნაკლებად ესმის რუსულ ეროვნულ სიმღერის საქმე. მართლაც და ნუ თუ ეროვნული სიმღერა იმაში გამოიხატება, რომ ხოროს ეროვნული ტანისამოსი ჩავაცვათ და რაც ხელში მოგვყვება, ყველაფერი ვამღეროთ? ხორო, რომელიც თავის თავს ეროვნულს უწოდებს, პროგრამითაც ეროვნული უნდა იყოს. გარდა ამისა, სიმღერებიც ისეთები უნდა იყოს ამორჩეული, რომ სავსებით ახასიათებდეს ამა თუ იმ ერს. ქ-ნ სლავიანსკაიას პროგრამა ამ მხრით ძლიერ სუსტობს. 20 ოქტომბერს შესრულებულ სიმღერებში მხოლოდ ორი თუ სამი შეიძლება ჩაითვალოს რუსულ ეროვნულ კილოებად და ესენიც ისეთი უმნიშვნელონი არიან, რომ მათი მიხედვით მსმენელი ვერაფერს გარკვეულს წარმოდგენას ვერ იქონიებს რუსულ ეროვნულ სიმღერაზე. მართლაც და რა რუსული ეროვნული სიმღერაა „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“, ან ვილბოას „ბარაბანი“, ან კიდევ ძბანოვსკის კრებულიდან ამოღებული „ჩერქეზული სიმღერა“ და სხვა მრავალი ამ გვარი, რომელიც ხოროს გაუზეპირებია? ქ-ნ სლავიანსკაიას სურს შთაბეჭდილება მოახდინოს, გარეგნულ ბუტაფორულ ეფექტებს მისდევს, და ამ მიზანს ხან და ხან მართლაც აღწევს. ეროვნულ სიმღერის საქმე მას ან არ ეინტერესება, ან არ ესმის.

სწორედ ამითი აიხსნება რუსეთის გამოჩენილ მემუსიკეთა მიერ განსვენებულ სლავიანსკისა და მისის ქალის მოღვაწეობის დაგმობა.

შეიძლება, ამითი აიხსნებოდეს ისიც, რომ ქ-ნმა სლავიანსკაიამ თავის კონცერტით ვერც ტფილისის რუსთა საზოგადოება მიიზიდა თეატრში, რომელიც ნახევრად ცალიერი იყო. დამსწრე საზოგადოება ში რუსებს ადგილობრივი მკვიდრნი სჭარობდნენ...

დამსწრე.

—

ქუთაისი. ქარიაული დასი ახალ პიესების მზადებასა და წარმოდგენას შეუდგა. შაბათს, 16 ოქტომბერს, პირველად ითამაშეს მაქსიმ გორკის ახალი პიესა „უკანასკნელნი“, ვგონებ, მართლაც უკანასკნელი ნაწარმოებია ამ მწერლისა.

პიესა „უკანასკნელ“-ში ავტორი გვიხატავს ყოვლად გაუბედურებულ ოჯახს. წინ წყალია, უკან მეწყერი, თვით ოჯახი დაყრდნობილია აშმორებულ ჭაობში ჩაშვებულ ბოძებზე, რომელიც სიდამპლისაგან ირყევა და, ეს არის, წაიქცევა. შიგ მყოფთა მდგომარეობა ტანჯვა-ვაებით აღსავსეა, მოისმის გოდება ყოველ კუთხეში, ერთ მანეთს ახრჩობენ, სთელენ, სრესავენ, თავისი სიახლოვით, მოკლებულნი არიან სრულ ნების ყოფას, ძალას ბრძოლისა, კვლავ აღდგენისას. ლონიერიც და სუსტიც, ყველა ერთის უფსკრულისაკენ მიეჭანება. მთელს ოთხს მოქმედებაში ამ ერთგვაროვან ძიძე სურათის მოწამეა მაყურებელი. იქნებ ავტორს იმაში ვუსაყვედუროთ, რომ არა სჩანს მხატვრულის სახით მოქმედებათა განვითარება, სურვილი ან ცდა წინსვლისა, ყველანი ერთ ტაფაში იხრაკებიან და არვინ არ იშორებს თავიდან ამ ცეცხლის გენიას.

ახალგაზდა მოთამაშეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პიესა იშვიათის ერთსულოვნებით ითამაშეს. ეტყობოდათ, საკმაო ენერგია ჩაუბნევიათ ამ პიესის მომზადებაში და დაუფასდათ კიდეც.

ქ-ნ ქიქოძეს რთული როლი არგუნეს. საკმაო ძლიერებით გადმოგვცა მან უბედურ დედის გულის ტკივილი, მაგრამ მეტად ჩახრიწინებული ხმა ჰქონდა ამ საღამოს. ხშირად ჩვეულებრივის ხმის ნაცვლად წივილი მოისმოდა. ეს მეტად აუგემურებს როლის გადმოცემას და მოსძენასაც.

გარეგნობა მეტად ახალგაზდისა ჰქონდა. 27 წელიწადი ჯვარ-დაწერილია, თვითონ კი ამ ხნისაზედ მეტისა არ მოსჩანდა,—როდის-ღა გასთხოვდა?

ქ-ნმა თამარაშვილმა კოპწია ნადეჟდას როლი გარეგნულად კარგა გაგვაცნო; ხოლო რაც შეეხება ჩემს წინა რეცენზიაში გამოთქმულ აზრს, როლს რუსულის „პაფოსით“ სწავლობს-მეთქი, ეს შენიშვნა თითქოს განგებ დაადასტურა ამ საღამოს და ხელიც მოაწერა. ერთს მოქმედებაში, ალბად ისე გიტაცა თამაშმა თუ სხვა რამემ, რომ სრულიად გადაავიწყდა ქართულს სცენაზე ყოფნა, თავისი თავი ამხანაგ-ქალთა შორის წარმოიდგინა და იმის მაგივრად რომ ქართულად ეთქვა: „მადლობა ღმერთსო“, მთელი თავისი მხურვალე ტემპერამენტიც რუსულად წამოიძახა: „Ну Слава Богу“-ო!

ხალხს რასაკვირველია, სიცილი წასკდა.

ერთი „ალილუია“ დიაკვანსაც შეეშალაო, ნათქვამია, მაგრამ ჩვენ მაინც ვაფრთხილებთ მოთამაშეს, ამგვარის „სიურპრიზებით“ ხშირად არ გაგვიმასპინძლდეს!

მეტად 'შესაბრალისი იყო ქ-ნი ღოლობერიძისა გამდელის ფედოსიას როლში. ძალად გაბერილი ხმა და კილო ხოთხითს იწვევდა ქანდარაზე. ჩვენს ახალგაზდობას რაღა გაღიზიანებ ეკერვება, საკმარისია ვისმე სცენაზედ წითელი ცხვირი ან გვერდზე მოქცეული ქუდი დაუნახოს, რომ კიეინა ასტეხოს.

ფედოსიას როლს მიტომ ვაქცევთ განსაკუთრებულს ყურადღებას, რომ იგი უბრალო, ჩვეულებრივი გამდელი კი არ არის, მას უფრო სერიოზული, სიმბოლიური როლი აწევს კისერზედ. მთელი ამ ოჯახის სიავ-კარგე უწყის, ახალთაობა მისი აღზრდილია, ბევრის მნახველი და მრავალი საიდუმლოების გამგონი, მაგრამ მაინც ყრუდ, გაუგებრად ბუტბუტებს და ვინ იცის, რისთვის ან ვისთვის ინახავს იმ „საუნჯეთა“ გროვას, რაც მის გულში იკრიბება!..

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

ჯაფარ-ფაშა.

ბანცხაზებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

ეოგვდ დღე, კვირეულს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. ფ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბვეტიხიანეცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ბ. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანეცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაკი: 3—5 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ლ. ვ. ბეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კეთილსულტანებიდან და ოჯერადებიდან შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

◀ მოზბიარეთათვის ▶

თავშესაფარი
გეგია-ქალის
თუხარელისა.

ოდგას ქ., საბეჭდ ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მოძსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრადა მასსაკი ყოველ-დღე დილის 6—დან ნაშუადღევის 1 ს. (თ.—711-16)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში. იღებს შინაგ., ქალ., ბავშ. და საფეხურ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით დარიბებს უფასოდ იღებს. (ს.—206)

ტფილის. გუბერნიის
თავად-აზნაურთა
წინამძღოლისაგან.

1895 წელს, 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს აზრის თანახმად, ტფილისის სათავადაზნაურო სიადგილ-მამულო ბანკის დამაარსებლების მიერ ბანკს მოსაწყობად შეტანილ ფულის უკან დაბრუნების შესახებ, და 1910 წლის მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესდებათა მე-7 მუხლის ძალით, ვაცხადებთ, რომ ის პირი, ვის ხელშიაც გადავიდა გადაცემითის წარწერით კვიტანცია იმისი, რომ ხორეშან აზნაურთა ბანკის დასაარსებლად შეიტანა ოთხას-სამოც-და-ცხრა მანეთი და 28 კაპ. (469 მ. 28 კ.), მოვალეა ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს წარუდგინოს ეს კვიტანცია ამ განცხადების დაბეჭდვიდან ექვსი თვის განმავლობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პირს სრულიად წაერთმევა უფლება ამ ფულის მიღებისა გადაცემითის წარწერით და ეს ფული ჩაირიცხება ზემოხსენებულ აზნაურთა მემკვიდრეთა სასარგებლოდ.

(3—154—3)

გამოცდილი მასწავლებელი

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც —პანსიონში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლა'მი მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ალიგას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахалонкѣ противъ вокзала).

(თ—152—4)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

(წელიწალი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 191ს წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელიმომწერლებს:

24 წიგნი მცირე წლოვანთათ 12 წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა **პრემიად** ყველა **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ** (ეროვნული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ეგალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ეგალდისა; 3. „თოროზეტი“—ზღაპარი ეგალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები ბუბიკებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡᲐ: წლიურად ზუთი მანეთი, ნახევარი წლით ოქროვ გამოდგემა—სამი მანეთი; ხახევარ-კარად: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

წელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡ“ რედაქციაში (ბოლოვინის ბრიდსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ ხახოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვლაში).

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფოთლევის მრეწველობისა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ᲫᲛ. ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘᲡ
● ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲡ ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

✦ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ✦

ᲝᲡᲔᲢᲠᲘᲜᲐ (ზუთი) ᲓᲐ ᲡᲔᲕᲠᲘᲣᲒᲐ (ტარალანა).
ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ

ახალი, (Зернистая).

—◀ პარკისა და კოლოფებით ▶—

საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიოგგა)
და ᲧᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ (Кетовая). (წ.—128—11)

ᲮᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ (Кетовая) ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ

ᲮᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ (Кетовая) ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ

ერთად-ერთი საწყობი ფოთლევის მრეწველობისა.